განჩინება

საქართველოს სახელით

კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

2018 წლის 6 მარტი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე თამარ ჭუნიაშვილი

განმცხადებელი – შპს ,,ალუდა''

(საიდენტიფიკაციო ნომერი 400023611)

წარმომადგენელი – არჩილ თაბაგარი

მოვალე – შპს „აგროგეო+"

(საიდენტიფიკაციო ნომერი 404880287)

გაკოტრების მმართველი – აღსრულების ეროვნული ბიურო

წარმომადგენელი – ირაკლი წიკლაური

სასამართლომ ზეპირი მოსმენით განიხილა კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი და

გამოარკვია:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის წარმოებაშია შპს „აგროგეო +-ის" გაკოტრების საქმე.

2018 წლის 01 მარტს შპს „აგროგეო+-ის" გაკოტრების მმართველმა აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მომართა სასამართლოს და მოითხოვა კრების მოწვევა შპს „აგროგეო+-ს" გაკოტრების საქმის დასრულებისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ გადაწყვეტილებას, საქმეში არსებულ მასალებს, მიაჩნია, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად მოწვეული უნდა იქნეს კრედიტორთა კრება და კრედიტორთა კრებაზე განხილულ იქნეს შემდეგი: შპს „აგროგეო+-ს" გაკოტრების საქმის დასრულება და რეგისტრაციის გაუქმება.

სასამართლომ იხელმძღვანელა ,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, მე-9, 25-ე, 27-ე, 32-33-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285 მუხლებით და

დაადგინა:

1. კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნეს 2018 წლის 19 მარტს, 13:15 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) სხდომის დარბაზი

№29 შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. შპს "აგროგეო+-ს" გაკოტრების საქმის დასრულება და რეგისტრაციის გაუქმება;

2. განჩინება გამოქვეყნდეს „საკანონმდებლო მაცნეში“, სასამართლოს დაფაზე და ვებგვერდზე – www.tcc.gov.

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან 5 დღის ვადაში, კერძო საჩივრით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

მოსამართლე **თამარ ჭუნიაშვილი**